ქ. კ. ტ. ლგ. დროშა ქანარა და ნაღარა გაგდებინა სახლთ უხუ-

ცესი რეგაზ და მრავალი საბატიო (საბა...) კაცის შვილები სხვა ქალაქებს, და გაქცეს ბატონი თეიმურაზ, უკან მიჰყვნენ და გრემს შეიყვიდა, რომ ტომ მეფე სრულიად კახნი ჯალაბობრივ იქ იდგნენ, თვითონ ბატონი თეიმურაზ უოვლგნით ხელმოდებული იქით ბატონის თეიმურაზის შვილი დავით და ჩვენგან გაგზავნილნი დაშქარი ჯალაბნი შეურიდიყვნენ, შებმულიყვნენ ქისიეის ბოლოსა, ძველ ანაგს, და თათრებს გამარჯვებოდა და ბატონის შვილი დავით იქ მოეკლათ და მრავალი საბატიო (საბა...) კაცის შვილი დაეხოცათ, მეფე რომ ტომ გრემს იდგა, მეექვსეს დღეს ეს ანბავიც მოვიდა, და კახნიც მოუვიდნენ, ბატონს თეიმურაზს მეფის გიორგის ქალი ედგა, ბატონს თეიმურაზს დონე უოვლგნით მოელო, ადარ სითმე მშვილი, და ადარც სახიზარი და ადგილი და ადარც წასასვლელი გზა და არც დასაძრავათ ცხენ ჯორი ადარა ჰქონდა-რა, და უფრო ერთი კახი კაცნი ქართველს ბატონს მისვლოდენ, და ბატონის თეიმურაზის დაჭირვასაც ჭვირდებოდენ, და მეფეს არ უნდოდა იმისი დაჭირვა და არც უმადლიდა იმის ორგულობასა, და მეფემ ბძანა: მის დღეში ამ რიგი მუხანათობა კახთ არ ექნათო, რომ ახლა ქნესო, ეს ანბავები ბატონს თეიმურაზს მოახსენეს, და იმანც დედოფალსა, შვილისათვის ნადვილით სავსესა მოახსენა: მეფე ბიძაშვილია თქვენიო, მიდი, ახლო, შვილისასაც შეეხვეწე არ მოგიკლასო და ჩვენი შენატოდებიც ეგების კაპტიოსო, და ამას უკან, ვითაც უმა გვიმსახურესო და თუ ესები არა ქნასო, ამდენი ცხენი და ჯორი გვათხოვნესო, რომე იმერეთამდის მივიდეთო. წამოვიდა დედოფალი და კათალიკოზი და ბატონის შვილი დუარსაბ და ვინც ეფისკოპოზები გზას იყვნენ მიეგებნენ, მეფემ თვრეშთ უხუცესს უბძანა: ჩემს სიახლოს კარგს ადგს კარვები დაუდგმევინეო და კარეშემო თეჯირები მოუვლებინეო, ვინც აქეთ ჯარი იდგეს აჭყარეთ, რომ დედოფალი მობრძანდებისო, კარვები დადგეს, და დედოფალი მობრძანდა, და ცხენითვა ჩამოხდა, და მეფემ უადღა (ჭადაგა?) ქნა.

ბატონის შვილის დავითის სიკვდილი არავინა თქვასო, დედოფალი მეფის კარავში მობძანდა, და მარჯვნივ პატრიარქი უდგა და მარცხნივ ბატონის შვილი. დუარსაბ ნელად მოვიდნენ, მეფე კარავის

წინ მიეგება და დედოფალი ტირილით მეფეს უვსებს მოკითხვას, ძმას გეხვეწებიო, თუ ერთი წვეთი სისხლი გვაპატიეო, შენს სიძეს ეზა დასნებეო, მეფემ პატივი სცა და დაბლა არ დაუშვა, და ერთმანერთს მოეხვივნენ, შეექნა ორთავ ტირილი. ცოტას ხანს ერთგან იყვნენ, მერმე დედოფალი თავის კარავში მიიძახდა, მეფემ დორის ხანი ისაზ ხან იხმო და შეკითხა, დედოფალი სახვეწრათ მოსულაო და ამისი პასუხი რაგორ სჯობიაო? ამისი პატივის დება ჩემიც პატივის დება არისო, და ჩემი ბიძაშვილიაო, და სპარსთველის ბატონებს, რომელსაც გასწერებიაო, ან დედით შეხვეწიაო, ან დედოფლითაო და ბატონს თეიმურაზს სპარსთველის წესი გაუთავებიაო, აწ ჩვენ რას გამოგვირჩეო და ან რა გვმართებსო, მერმე ამან მოახსენა: ერანით ასი ათასი კაცი ნამეტანი ამ კახეთში ამოწუვეტილან, და ხემწიფენი მრავალს გარჯილან და ამ რიგი გამარჯვება არვის უქნია, მაშ შენის სიმართლისათვის ღმერთმან ეს გამარჯვება მოგცაო, და აქ თვითან დაუმარცხდიო, და ქვეით შვილი მოუკლესო, და დედოფალი შემოგხვეწაო, უარია ნებით დასნებინეო, და სხვას დაესხნენ, დავბრუნდეთო. ამისი რჩევა მეფეს მოეწონა, და კიდეც ისრე უნდოდა, ამასობაში ვინც ბატონის თეიმურაზის წახდენაში ერიენეს, იმათ მეფეს მოახსენეს, ამას წინათ რომ ბატონის თეიმურაზის შვილი არ მოგეკლათო, არ მოგასვენათო. აწ რომ შვილი შეუკვლევინეო, შენ რადას მოგასვენებსო, და ეგებინ ამისი არ გაგდება უკუნმაც გიწუინოსო, დედოფალი ამდენს პატივსა სჯერაო, რომე ცხენი და ჯორი ათხოვოო, და უზიანოთ დიხით იმერითს გაგზავნოო. მეფის გული მოწუალება ამ სიტუვით მოშალეს, დედოფალი მოატუუს (მოატუუს), რომე მეფეს თქვენის შვილის არ მოკვლასა და თქვენს უზიანოთ იმერეთს გარდასვლას შეუხვეწნიათო, მეორეს დღეს მეფე დედოფლის სანახავათ (სან...) წავიდა, დედოფალი შემოხვეწა, ბიძის თქვენის მეფის სვიმონისაგანაო და ბატონის დეგანისაგანო ჩემი დათუნას მეტი არავინ დარჩომილაო, და იმასაც დიდი ხანია თქვენი გვერთს ხლება უნდოდაო, და ვითაც მის მეტი არა გვყვანდაო, ჩვენ არ გამოუშვიათო, და ვი დღეს მისსაო, ახლა თათარი დაურჩენიაო და უკანთან გაუგზავნიათო.

იმაზედ მამეხმარეო, რომ იმას უშველოს რამეო, და მეფემ ამქვეყნიური დაუდგა და მოახსენა: რომელის ჩვენის ხელით გამოგაო მოგვხმარებითო, და ის ასეთი კარი არისო, რომ სიკეთის მეტი არა დაგველდება რაო, მაგრა თქვენ მებრალებითო, რომ შეურამდის ტირილით გაირჯებითო, მოახსენა: რაც შეგცოდეთო, მგონ მაგვარი ჩვენ გარდაგვხდაო, და თუ ამდენს ბატივს დამდებო, რომ ამ სიბერის დროს ჩვენს სოფლავს არ მოგვაშორებო, ნახვირის ადგილი თქვენ იქონიეთო და ალავერდის გარეშემოთ დაგვარჩინეთო, დმერთი დაგიმადლებსო, და ქვეყანა მოგიწონებსო. მეფემ მოახსენა, რომელსაც ბძანებთო მე თქვენთვის არ მშურსო, მაგრა თქვენი შვილის დაჭირვა და თქვენი ამ რიგი დამარცხება უკვნს მოხსენებია, და არამც ხემწიფის ბძანება მოვიდესო, თუ ბატონი თეიმურაზ თავისის ცოლ-შვილით კარზედ გამოგზავნეთო. არ უფრო სამის დღეშიოდ მოითხრებითო, დედოფალმა მოახსენა, მაშ ამდენი წუალობა მიუყვიო, რომ ამდენი ჯორი და ცხენი გვათხოვეთო, რომ იმერეთს გარდავიდეთო. მეფემ უკუაი ათხოვა, სახუქვარი მიართვა, ბატრიარქი ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი სამცხეთოს დაშქრით თან გაატანა და ბრძანა: ვისცა უნდოდესო კახნი თან გაჰყვენონო, ზოგნი ცოლ-შვილით თან გაჰყვანენ და სხვა უფროსი ერთი მეფესთან მოვიდნენ, და ბატონმა თეიმურაზ ქართლი აიარა და იმერეთს მივიდა, კახნი დარბაისელნი ერთგულობაზედ შეითვიცა, და კახეთი ნასიხლათ დაიჭირა, უკუნს ბატონის შვილის დავითის და სხვა კახთ დარბაისელთ თავი და ბატონის თეიმურაზის დროშა ბახუტა ჭუსეინ ბეგის შვილი ელისბარ ბეგ დავითის შვილის ხელითა გაუგზავნა. და უანდჭარის ასდებათ მივიდა, უკუნი ესები შაჰთამას წინ დახვედრეს, სამი სოფელი განჯაში ელისბარ ბეგს უბოძა და მურასა თაჯი, თომარი მურასა, ხმალი და ოქროთ შეკაზმული ცხენი რუსტამ მეფეს და ქართველთ ხალათები, კახეთიც რუსტამ მეფეს უბოძა, უკუნმა იმერეთს მივიდა, ბატონი თეიმურაზ ალექსანდრე მეფემ უწინ გუნათელი და სააბატოს (საეპატოს?) კაცის შვილნი მიაგებეს, უველგან ნუზღი მზას დახვედრეს და ჩხარს მიიყვანეს, ბატონი თეიმურაზ და ხორაშან დედოფალი, იქითგან დარჯან დედოფალი და მეფე ალექსანდრე მოვიდნენ, დარ-

ბაისელნი და დარბაისელის ცოლები უველანი იქ შეიყარნეს, და ტონიშვილი დავით იქ გაიმყდავნეს, შეიქნა დიდი ტირილი და გლეხ.

ქ-ს. ტ-ლე. შაჰ აბაზ უანმა უანდაჰარი ინდოეთის ხელმწიფეს წაართვა და მეჰრაბ ხანს უბოძა და თვითან მაშათს მობძანდა, მეორეთ ზავეულ ინდოეთის ხელმწიფის შვილი დიდის დაშქრით შემოადგა და მრავალი ომი იქნა, და მეჰრაბ ხან ციხეში მამკვდარიეო, მაგრამ მაშინც ციხე ვერ აიღეს, ცუდათ დაბრუნდეს, მეორეს წელიწადს უანდაჰარი ომთრ ხანს მისცეს (მისცეს) და ინდოეთის ხელმწიფის შვილი დარაბუქუ უანდაჰარს შემოადგა, და თავისი როსტომ ხან დექნი უალი ბიხტაზედ გამოგზავნა, და შაჰაბაზ უანმან სარდრობა მურთუზა ული ხანს მისცა და ერანის დაშქარი თან გაატანა, და დაუძახა ვითაც დაშქრის სიმრავლე უანდაჰარზედ დარჩომიდიეო, და აქ დაშქარი ტოტა ეგონა, სხვა დაშქარი აღარ მოიცდა, მიუხდა, გამარჯვება ინდოელთ დარჩა, მაგრამ ციხე კი ვერ აიღეს, ცუდათ გაბრუნდენ, აბაშალნენ, მათაც შიგნით თემი და მამაშვილები აუშალნეს, ავრენგიზ ერქვა, იმას მამა ხელმწიფეთ ჰყვანდა, დაიკვირა და დატუქვა და ძმები დახოცა, და თვითან გახელმწიფდა და თემი აერია, და საუანდაჰროთ ველარ მოიცალა, ბატონის შვილს ქორწილი უყვეს, და გილანით ენდრონიკაშვილის ადამ სულთნის ქალი თამარი მოჰგვარეს, მეორეს წელს, გაზაფხულისას, მეფემ დედოფლიანთ კახეთის დავდა მოინდომა, წიგნი მისწერეს, ქართლის თავადთა წავიდნენ და დილოს მიბძანდა, და ჯერ იქ თოფხი იდგა, ციცი ქარიც ქრიდა, აქით სიმაგრეზედ მიბძანდა, სამ გორი ინადირა და სათისჭალაში დადგა, იქით აიყარა და საგარეჯო და სახერქეზო ჩაისეირნა და იქით ბეყან ბადი ინადირა, მაგარის მივიდა და იქიდამე კარცლა და შირაქები ინადირა და ბაშინჯად ზეგით აღაზნის პირს ჩამოხდა, სამს დღეს იქ დადგა, მესამეს დღეს წინა მინდორი ინადირა, და იქიც ბეგრი მოკლეს, ამ ორთავ სანადიროში ათას ხუთასის ნადირისა ზოგი ტანი თავი ზედ ბმული მოართვეს, იქით ბეჭდის ფონზედ მივიდა და იქ ჩალული დაედგმევინა, იმაში დაადგინეს და იქ დორი და ხოხობი მრავალი ინადირეს, იქიდამე აიყარა, გადმა მხარი შეიარა, და გრემს მიბძანდა და იქიდგან ალონს მიბძანდა, სუდრიონიც ხახა და აიყარა, ალავერდს მი-

ბძანდა, ალავერდის სუდარი ბატონის თეიმურაზის დროში დაქსა-
დიო, და ახლა მეფე აშენებინებდა. და იქიდამ აიყარა და შავშას
მობძანდა და იქითგან ჩამოიარეს და ქარაქს (ქალაქს) მობძანდა, იმე-
რელი ბატონის შვილის მამუკას ნიშანი მოუვიდა, დევან დადიანს
ტუგელ ჭოლოდა, თვალები დაეწვა და იმაზე მამკვდარიო. მეფემ
ალექსანდრემ დაჭბატიჟა და წაიყვანა ურდუბეკაშვილი ბატრიარქი ქრის-
ტეფორე, მუხრანი ბატონიშვილი, მთავარ ეფისკოპოზი დომენტი,
თამთაქისშვილი მროველი, იესე და ზოგიერთნი კიდე ეფისკოპოზნი,
ყამი აწირვინეს, ნიშანი და სწირავი მრავალი აწუქეს და გამოისტუმ-
რეს. აგრეთვე ბატონმა თეიმურაზ და ხორაშან დედოფალმან ყამი
აწირვინეს, მრავალი აწუქეს და გამოისტუმრეს. მეფემ როსტომ და-
ბედაზედ გატეხილი ხიდი ააშენა ქვითკირის კამრით კარგი და მგზავრთ
სადგურათ ქარვან სრა და საჭმლის სამოვნელათ სოფელი აეკოთ, რომ
მგზავრი არ გაისარჯოს, იმათბის გასასინჯავათ მიბძანდა, იქ გაყმა კა-
ცებმან ბატონის შვილს ზუარსაბს მეფე ხუთს ექვსს დღეს აქეთ არ
აიურებაო, კარგია, გადმა გავიდეთ, და ჭალა ვინადირთოთო. უმაწვილი
კაცი იყო, იმასაც იამა და მეფესაც დასტური სთხოვეს და გადმა გა-
ვიდენ, ჭალას ნადირობა დაიწყეს, დორნი გაჩხნდენ, კარებზედ თო-
ფის და ისრის სროლა შეიქნა, ადგილ უადგილოსა და ბატონის
შვილს ზუარსაბს ძაძუსთან თოფი ჰკრეს და ზურგში გაუგდებინეს,
შეიქნა ტირილი და კივილი (უივილი?) და ნადირობა მოიშალა. და
მეფეს ჩაფარი გაუგზავნეს და ეს ამბავი აცნობეს.

მეფემ ფიცხლავ ელიზბარ ბოქაულთ უხუცესი ამავ ბატონის
შვილის დედის ძმა ჩაფრათ გაისტუმრა, და ჯარა (ჯარი) თან გაატა-
ნა და თვითანაც ცხენს შეჯდა და წაბძანდა, ცოცხალს მიუსწრა და
მეფეც ცხენით გარდმოხდა, შეევდა კარავშია, ბატონის შვილმა რა
მეფე ნახა, წამოიზიდა თუ ფეხს წამოუდგეს, დონე ადარ შერჩომო-
და, გედარ წამოატანა, მეფემ ქუდი გარდადო და თავს ცემით მტი-
რალი გვერდს მოუჯდა და გამოჰკითხა, თუ როგორ მოხდა, ან მკვდე-
ლი იცან თუ არაო? ბატონის შვილმან მოახსენა: თუ მოგრჩიო, ჩემს
მკვდელს მე ვიპოვნიო და თუ არ მოგრჩიო, თქვენი თავი კარგათ
იყოსო, რომელის გეხრიანებოდეს თქვენ ისი ქნიოთო, იმ მეორეს

დამესაც შუა დამემდის ტოტხად იყო და მას უკან მიიცვალა, შეიქნა ეოველს კარავში თავს ტემა და ტირიდი, ვისაც უხარდა ის უფრო ტირდა, არ შეტუობისთვი, დიდა გაოენდა, თათართ თავიანთ წესით დროშები გაშალეს, მოდამ მუსაფის კითხვით ხმანი ადამაღდეს, ავდაბრის გზით მიასვენეს, მერმე დედოფალმან იტირა, ზოგმა ერთმა ქართველთაცა და მერმე მკვდარი არდაველს გაისტუმრეს სრულ ქალაქის დროშა ადამით წინ მიეგებნეა და კარგის პატივით მიწას მიაბარეს და მეფემ ეს ანბავი უანს მისწერა, ვითაც უანდაჭრზედ დაშქრობა იყო, ადარას გამეკიდნეს, ამის მეტსა, რომ ბარათაშვილს შიოშს ათქმევინეს გზის დასაკრგავათ თუ სითკენაც თუმანის შვილი ბაინდურ იყო, ბატონის შვილს თოფი იქითა ჭერეს, ეს სამეფოთ გასადეს და ბაინდურ აშორო თქვა: ქართველნი და ბატონი დედოფალი შიოშს მიუდგნენ და თათარნი და სომეხნი ბაინდურს მიუდგნენ, და მოახსენეს: ამ რიგი სამართალი უხდომოთ არ იქნება. დასჯენეს, რომ ორთავ მოძღვარი დაიწირონ და იდოტონო, ბაემანი დადგან და ბაემანზედ ომს მოვიდნენ, ესეები ქნეს და ომს მოვიდნეს, მეფის სასახლის ბირდაბირ, მტკვარს გადმა, სომარი გაჩინეს, რომე უუდგნით ჯარი უმზერდეს, ბაინდურ და შიოშ ორნივ შეიკაზმნენ ჯაჭვითა, და იარადითა, შუბი და ფარი აიდეს, და ცხენს შესხდეს, და გადმა გავიდნეს, მეფემ ექვსი იასაული ომის ადგილს უჩინა და ბძანა ციხის კარები დაუგდეს, რომე კაცი არ წავიდეს, არ მოვიდესო, მაგრამ ორნივ მოშორვებით იდგნენ. გამოდმიდამ დაუძახეს: კარგი დრო არისო, უწინ შიოშ მოახდა ცხენჯენებითა და შუბი შემოამტვრია, ჯაჭვიც (ჯაჭვიც) გაუტეხა, და გვერდში გაუვლო, და შუბის ნატეხი შიგ შერჩა და აწ ბაინდურ აძგერა შუბი, და ბარკალს შეამტვრია, და შიოშ მოახდა და ბაინდურს დახტი სცა და გასცილდა, ბაინდურ მიეწია და შიოშ თავს დახტი დაჭერა და ვითაც თავისაგე სისხლით ხელი გასვრილი აქონდა, ხელით დახტი წაუვიდა და ბაინდურის ცხენმან თავ გაზიდულობა ქნა და შიოშს წასცილდა, შიოშ დახტის ცემით უკან მისდევდა, ბაინდურ წაიკრა ხმასა ხელი და ხელ უკუდმა მოუქნია და სცხვირესა ჭერა და შიოშ ცხენით გარდმოვარდა, თათართა და სომეხთაგან ალაჰ! ალაჰის! ხმა ამაღდა.

ბაინდურ მიუხდა შიოშს მოსაკლავად, იასაულთ არ დაანებეს, შიოშის ცხენი მოკლა და ბატონმა ბძანა: შიოშ ქალაქის ციხეში ტუსაღთ მიაბარეს და ბაინდურ ამ დაკოდილობით ცხენით სადგომს მივიდა, და დიდის სარჯლით შუბის ნატეხი ამოართვეს და ორს წელიწადს დაკოდილი არ გაუმთელდა და შიოშ ქართველთ იბატიევეს და ბატონისშვილმა ცუდათ ჩაიარა, ბატონის შვილის ჯალაბი მეფის დის წული ადამ სულთნის ქალი იყო, მეფემ ბძანა: ბატონის ლუარსაბისა კარგი ძმა არის რომ მირზაო და იმას შვილათ მოვუყვანინებო, და თავის ძმის ცოლს მივსტეო, და ისრეც იქნებაო. ეს ბატონის ბძანება ზოგთ დიად იწუინეს და ვერა თქვეს რა, უანთან თურმან გაგზავნა და ბატონი შვილი ვახტანგ შვილად სთხოვა. უანი მაზანდარანს ბძანდებოდა და ბატონი შვილი ვახტანგ უაზმინს მოურავათ იყო და თურმან აშრაფს მიივიდა, და მეფის არზები უანს მიართვა, უანმა ბატონის შვილს რაყამი მოსწერა: რომ მეფეს შვილად უთხოვნიხარო, თურმან გაიხლებისო, შენი სქმე კრგად მოვიყვანეო (მოიკარგეო) და მოდი და ფეხს გვაკოცეო და აქიდამე წადიო. რა ეს ანბავი ბატონის შვილს მოუვიდა, დედა მისმან თქვა: ერთი შვილ წამგვარეს და მამიკლესო, ახლა მეშინის, მეტი ალარ გამაჩნიაო, მე შენ არ გაგიშვებ, რომ წახვიდეო, ან რომ მეფის სიტყვაში უანმან საქართველოს ნახევარში ერთი საბატონო კიბოძისო, რომ მისის ხელის მზერავი არ იყო და ან რომ მეფეს უკან გაგისტუმრესო. ბატონის შვილმა თავისი დედა უანთან გაისტუმრა და თურმანს დასტური უბოძა, ქართლში წადიო და რომ წამოსვლელი შეეტყნებიო, ჩაფარს გამოგზავნიო და წინ მამეგებეო, და არც ბატივი დასდვა, და არცარა ახუქა და გაჯავრებული თურმან მეფესთან მოვიდა და მრავალი საწუენი და გულის გასაჯავრები სიტყვები მოახსენა, ასე რომე თქვენ შვილად მოგუყვანო და ის თავისის ძმის სიკვდილს თქვენა გაუმოსო და მესისხლეთა სჩანხარო, და გაჯავრდა მეფე და ასე ბძანა: რათ მინდა შვილიო, თუ დმერთს ნდომებოდა მამტეძაო, რა ცოცხალი ვარ მე გიბატონებო და ჩემს უკან გისცა უნდა მისცენო, და ბატონის შვილის დედისათვისაც უანს ასრე ებძანებინა: შენს შვილს თუ წასვლა არ უნდა ნუღარ წავაო, უანი აზმინს მივიდა, იქიდამ

ისპანის მიბძანდა, მაშინც კიდევ ითხოვა ბატონიშვილი ვახტანგ როსტომ მეფემ მუხრანის ბატონი ბახუტა ბეგ.

ქკსა. ტმგ. გაგზავნა ბატონის შვილს ვახტანს წამოუძღოო, მოიყვანოო მუხრანის ბატონი, ჩაბძანდა ისპანს, უკანი კარგა დახვდა, ბატონის შვილი ვახტანგ ავად გამხდარიყოო, და მიცვალებულიყოო, ეს ანბავი მეფეს მიუვიდა, ხოსია ბარათაშვილი ჩაუროთ გაგზავნა, და მუხრანის ბატონი ითხოვა და ჯანიშინობის რაყამი ებოძათ და მრავლის წყალობით ქართლს მობძანდა, მეფემ დიდი ბატივი სცა და ჯანიშინობდა, ზოგი სავახტანგო უბოძა, ზაალ ერისთვის შვილს ზურაბს ქალი მისცა, ნოდარს თავისის შვილის არჩილისათვის სთხოვა დედოფალმან, სათცარი უბოძა და კარის კაცთ მეფის მადვით ბატონ უმობაზედ შეეფიცათ, ამისთვის, რომ მეფის როსტომისგან უმედონი იყვნენ, თავათ დიდის ხნისა და მერმე უშვილო და უნათესავო მისთვის უგულანი მუხრანის ბატონს უდგნენ.

ქკსა. ტმდ. გუმბათი დაიქცა სვეტის ცხოველისა და მეფემ როსტომ აღაშენა.

ქკსა. ტშე. მიიცვალა დადიანი ლევან, ამასობაში სეხნია თურქესტანიშვილი ჩაუროთ გაგზავნა, რომე ლევან დადიანი მოკვდაო და მისი სალარო მეფემ ალექსანდრემ დაიჭირაო, და ერთი შორ ადგილი მისს ადგილზედ გაბატონაო და მისი ძმის წულები ჩვენთან არიანო და ოდიშართაც ესენი უნდაო და ჩვენ შეძლება ადარა გვაქსო, ერთი რაყამი მუხრანის ბატონს უბოძეთო, რომ ჩემს უკან ბატონობა მისი იოსო, რომე ჯარს მისგან ეშინოდესო, მინდა დადიანის შვილები გავბატონაო თავის სამკვიდროზედაო. ამაზედ ჭყონდიდის ეპისკოპოზი ჩაუროთ გაეგზავნა, ტუვილი შეეთვალა, როსტომ მეფე გორს შეცვლილაო, და ადრე ეყანის ელი დათხოვაო. სხვაგინდამ ეს ანბავი ადარ მისვლოდა, მაჭმუად ჯალაღარი ქართლით ჩაუროდ გამოეგზავნათ, რომ მეფის როსტომის ამბავი შეიტყოს და მოგვიტანოსო, ჯალაღარი ერთს თვეზე მოვიდა და წავიდა, ეს ანბავი მოიტანა, არ მომკვდარაო, მაგრა მწყეთ ავათ უოფილაო, და ახლაც ავათ არისო, ერისთავს ჩაუროთ გაეგზავნა და არზა მიეწერა, როსტომ მეფე დიდ შეძნელდაო. და ეგ არზები მეფის შეუტყობარი არისო, უკანს ჩაუო-

რი გამოეგზავნა და თურქისტანისშვილი თან გამოეტანებინა, მუხრანის ბატონისა და ერისთავისთვის ხალათი გამოეგზავნა და ჩათრასთვის დაებარებინა: ერისთავს რაც მოუწერია მართალია და ტყვილი, ჯამდის მუხრანის ბატონისთვის კარგი იყოო, და ახლა გაავებიაო და ესეც შეიტყევ, თუ რის გზით არისო და გუამაზარიც გააგეთონო, რომ მეფეს უკან ბატონათ ვინ უნდათო, ხალათები მოიტანეს, მეფე რომ სიბერით უძლურად იყო და ლოგინში იწვა და ლოგინში ჩაიცვა ხალათი და რომ მეფესა დადიანი დიპარიტ და მისი ძმა გაეგზავნა გასადადიანებლად და ქართლის ლაშქარი ეთხოვებინა და კიდევ მუხრანის ბატონი და ერისთავი სომხეთს დაეყენებინათ და უკანის ხალათები მუხრანის ბატონს და ერისთავს სომხეთს მიუტანეს და იქ ჩაიცვეს დიპარის (დიპარტს) დადიანს ქართლის ლაშქარი ახლდა, და ქაიხოსრო (ქაიხ...) გურიელი, თავჩრდ თავშა და ურუმის ლაშქარი დადიანს მოეხმარნენ და ლაშქრათ მოჰყვნენ.

ქ-ჯსა, ტ-მგ. ბანძიას შებნენ იმერელ მეფეს ალექსანდრეს, მეფე ალექსანდრეს გაემარჯვა და უფროსი ერთი ქართველხი და მესხნი დაინარჩუნეს, და დადიანი დიპარიტ და მისი ძმა მოკლეს, გურიელი დტოლვილი წავიდა. ეს ამბავი სომხეთს მიუვიდათ, მუხრანის ბატონს ბახუტა ბეგს და ერისთავს ზაალს, მარიამ დედოფალი გორს ბძანდებოდა, ამ ამბავზე ზაალ ერისთავი დაბრუნდა, და ქსნის ერისთავი და კახნი სრულ თან გაატანა, და ქალაქს ჩავიდა, ჭავლაბარში ჩამოხდა, და მუხრანის ბატონი ქალაქში მოვიდა, და მეფე ავად იყო, ერისთავმან ჯამალ ხან მეფეს მოუგზავნა, რა ცოცხალი ხარო, შენი უმა ვარო და შენს უკან მე უკანის მეტი ბატონი არ მინდაო, მეფემ უპასუხა: ჯერ ავად ვარო, ჩემი სქმე, მოიცადეო, თუ კარგათ შეგიქნებიო, მე გავარიგებ მაგისასაო, და თუ არა შენ იციო, კახნი შენ გახლავნო და შენთვის იყავო. და მუხრანის ბატონი თვითან იახლა მეფესა, ავად მოთფს მწოლსა და მეფის ალექსანდრეს გამარჯვება დადიანის შვილებზე ერისთავს დაბარაა, ასრე მოახსენა: თუ ჩვენი დაშქრით იმერეთში ჩავსულ ვიყვენითო, მეფე ჩვენზედ წამოვიდოდაო და ისინი ოდიშს შიგ გამაგრდებოდენო, რამდენჯერ კარდასვლა მოვინდომეო, ერისთავი არ მიყოო და ჩვენის დაშქრის დამარცხების

ანბავი მოვიდაო, აიყარა და კახნი და ქსნის ერისთავი თან წამოჰყვაო და ახლა მოსულაო, ჴვლაბარში ჩამომხდარაო, იმასაც მეფემ ასრე მოახსენა: ჯერ ხელავ ჩემს ყოფასაო, თუ მოვჯობინე ორთავესას გა გირიგებო, თუ ვერ მოვრჩიო, რომელიც გინდათ ისი ჴქენითო. რა ბატონმან ესები ბძანა, მუხრანის ბატონმან ვახტანგ მეფის მუსტაფი და თუმანიშვილის ბაინდურთან და ერისთავთან მიუგზავნა, ასრე რომე თავდაბირველ შენ მოინდომე ჩემი ბატონობაო, ახლა რა შეგცოდეო, რომ გაგვეულებულხარო, შენის შვილისთვის ქალი მიმიცია და სხვაც რაც გინდა მოგართმევო, ბატონის ვახტანგის სიტყვები ერისთავს უანბეს, იმან ასრე თქვა: რომ მაგისი ბატონობა გამოვრჩეთო და ჩემს ზურაბს ქალი მისცაო და ნოდარის ქალი თავის არჩილს უთხოვაო, ჩვენ შუა დამხდომიო დასტურ ნოდარ ადარ ცოცხალაო, მაგრამ თურმან და ობიდელი ცოცხალნი არიანო, ქართლის ბატონობა მაგისთვის გვითქვამო და კახეთისა ჩემთვისა, თორემ ბევრჯელ მაგასთან დამიფიცავსო, რომ რუსტომ მეფეს უკან ქართველს ბატონს ადარა ვეუმობიო ეს ამბავი ბატონს ვახტანგს მიუტანეს და კიდევ სხვა მოციქულები გაუგზავნა, და იმათაც ისივ ანბავი მოუტანეს, ერისთავმან ჩაფარი გაუგზავნა, ქართველთ რახანც ჯანიშინობა ჴქონდა და უანეის რაუამა ხელთ ეგდირა, მუხრანის ბატონს ბახუტა ბეგს, ბატონის შვილი დაუძახეს, სახელი გამოუცვალეს, ვახტანგს დაუწყეს ძახილი, გაუმაზარი დაბეჭდეს ვახტანგ ბატონის შვილის გასაბატონებლად, მისცეს ჩაფარსა, მეფემაც არზა მისწერა: დავუძლურდიო, თუ მოვიჯობინეო, აქაურს ანბავს ჩაფრის ხელითო, გაახლებო, და გერმანოზის შვილი ბაატა თან გაატანეს და ჩაფრად გაისტუმრეს. ჯამალხან უწინვე ქალაქის ციხეში იყო, ჩაფარი რომ უანეს გამოეგზავნა, ჩავიდა და გერმანოზის შვილი ბაატა თან ჩაჰყვა, და აქაური ანბავიცა და მეფისაც მოახსენებინა, ავად ყოფნას ძალი უქნია, მისი მორჩენა ძნელია. ბძანება ქნა: ჩაფარი წავიდა, ალაჰვერდი ხან ყარაბაღში მიგვიდესო, და სეფე უფლი სულთან ქართლს მივიდესო, ზალ ერისთავს წამოუძღვეს, მოიყვანოსო და მუხრანის ბატონის მეფობისა ებძანა, ვნახოთო რუსტომ მეფის სქმე რაგორ იქნებისო.

ქ-კსა. ტ-მზ. მეფე რუსტომ მიიცვალა ტფილისს ქალაქსა,

ტირილი დედოფალს ალარც დასცალდა, ალარც ქართველთა საშველად, ერთი ორი დღე იტირეს, რომ მეფე თათრებმა ციხეში შეიტანეს, იქიდამ უუბს გაგზავნეს დასამორხვათ, ჯამალხან უწინვე აქ მოსრულიყო და დედოფალს უანის რაუამი შემოუგზავნა, ხელწიფის ბძანება არისო, ციხეში შეიუვანა და უანთან უნდოდათ წაეუვანათ, დედოფალმან თეთრი თმა გაგზავნა, უანს შეუთვალა: მე ციხეში თქვენი ბძანება გავითვეო, შემოველო ჩემის მხლებლებითაო, ერთი ბერი ცქვიტა (დედა...) ვარო, ჩემს ქმარსაო და ძმასაო მაგათ ოჯახზე ბევრი უმსახურებიაო, აქედამ ნუ დამძრავსო, თმაცა და წიგნიც ციციშვილს ბაბუნა სარდალს მისცეს, ჩაფრად გაისტუმრეს, ბაბუნა სარდალი ადრე ჩასულიყო, უანს სწუენოდა რომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა დიად ბევრი დედაკაცობა უანბაო და თმა თეთრი უჩვენა, რომ მეფე თავისი საბატონო ცოცხალმაც იმას მისცაო, და ანდერძათც მუხრანის ბატონს უანდერძაო, მეფობაცა და დედოფალიც მუხრანის ბატონს გახტანგს მისცა, და ქართლი და ან რაც რომ მეფის საქონელი იყო და ან რაც ერანში რომ მეფეს ჰქონდა, უველას წუალობა უყო, სახელად შაჰ ნავას ხან დაარქვა, მალე გამოისტუმრეს, ბაბუნა საახალწლოდ მოვიდა, სოფლანდუხს მეფე ჩავიდა და უანის ხალათი ჩაიცვა, რაუამი თავზე დაიწერა, ისე შემოვიდა ქალაქში, მეფე გაათთრეს, ორმოც დღეს აქით ქორწილი უუვეს, შაჰ ნავას მეფესა და მარიამ დედოფალსა, შეიქნა სიხარული, მეფობა და დედოფლობა მიულოცეს, ზაალ ერისთავი უანთან ჩასულიყო და დიდი ბატივი დასდვა, ისპაჰანს ხიდზე ჩირაღდანი და სასმამთრო მაზანდარას მიეუვანა, და შეაქცია და ანადირა და იმასა და ან ვინ ახლდა, უველას მრავალი უბოძა, ჯამაგირები კაუჩინა, ხუთასი თუმანი ზაალ ერისთავს ჯამაგირი გაუჩინა, კახეთის ნაბირის ქვეუანა მისცა და განჯის ხანი რომ კახეთში ბატონობდა, იმას თაბუნათ მისცა და აშრაფით გაისტუმრა, ესები ერისთავისათვი შეშურდათ, თავისივე მოუგრები შეუდგნენ, კახეთი შენს დროში თათრით აივსო, ასეთი რამე მოგახდინოთო, რომ სქრისტიანო არ მოითხარხარო, ერისთავი ვერ ჩამოიოლიეს, მისი შვილი ზურაბ სვამარწვილით დაატუუეს, და თუშნი შეურილნი ადი უული ხანი ჯანგარდუს მოუხდინეს და ის ბახ-

ტრიანის ციხეში გამაგრდა, და რაც თათარი კახეთში დაესახლებინა, უთრახი დახოცეს, და ტფვეთ წაასხეს. ეს ამბავი უანს მოახსენეს, და უგელამ ზაალ ერისთავს დაბრალეს. უანმა დასტური უბოძა, ეცადე ერისთვის დაჭირასო, დაჭირვა ძნელი იყო, და ძმისწულები მოდალატედ შეუყენეს, ზაალ ერისთავს მარტო მჯდომს, უიარადს სამთ წაუშინეს და მოკლეს და მისი შვილი ზურაბ და სიძე შალვა და ჩხეიძე გიორგი თიანეთს იყვნენ, და გელარ მოეშველეს, მტკვარს გავიდენ და თრიალეთის გზით ახალციხეს მიდიოდეს. გზაზედ თათარი შემოეყარა, იცნა და ცხენ ქვენებით ციხიერთს მეფეს მეატყობინეს, ჯარი გაუძახეს, გიორგი ჩხეიძე მოკლეს, და ზურაბ და მის ძმა უანს გაუგზავნეს , ზურაბ უანმან ქირმანს გაგზავნა და იქ მოჰკვდარიყო, უმტრახის ძმა შიგნით ციხეში შეინახა და ერისთავობა თათრს უბოძეს, და კახეთი განჯის ხანს ჭქონდა. ელისბარ ერისთავი და შალვა ერისთვისშვილი ბიძინა სუფრაჯი განჯის ხანმან უანთან გაგზავნა, და უანი კარგს პატივს სდებდა, და დაუწყეს ბეზდობა, რომ კახეთში თათარი ამოსწყვიტესო, ამათი ქნილობა იყო, მისცეს თათრთა ხელთა, გაგზავნეს, ჰადრბიჟანს დაახოცინეს.

ქ. ს. ტ. შე. დაჯდა ქართლს პატრიარქათ მუხრანის ბატონის ქაიხოსროსშვილი დომენტი, ამავე წელიწადსა მეფე ალექსანდრე იმერეთს მიიცვალა, იტირეს და დამარხეს გელათს, და დარეჯან დედოფალი დაქვრივდა, და მეფეს ალექსანდრეს უწინდელ ცოლთან გურიელის ქალთან შვილი ჰყვანდა ბაგრატ და ბატონის თეიმურაზის შვილის შვილნი პაპა ბიჭი რომ დუარსაბ ერქვა, და გიორგი დახოცდა, და ერეკლე რუსეთს გაგზავნა და ერთი ქალი მამიდასთან იყო, ქეთევან და ბაგრატს შერთეს და მეფეთ აკურთხეს; ცოტა ხანს უკან დარეჯან დედოფალმა თავისი გერი ბაგრატ შესართავათ მოინდომა, ბაგრატ არა ქნა, დედოფალ ამაზედ და სხვა რიგადაც გარჯა, გაუვდა და ბაგრატ დაჭირვინა და თვალები დაწვვინა, და მამას მეფობას შეპატიჟა, ბატონმან თეიმურაზ უჯავრს, სკანდით ქუთაისს არ ჩავიდა, დედოფალმც ჭუჭუნა შვილი ბაგრატიანად იტუოდენ, გახტანგს ქრმად შეირთო. იმერეთ ვინც დედოფალს კერძო არ იყო, აქეთ ქართველს დაჰპატიჟეს და იქით დადიანს, ორნივ შიგ ჩაუდგნენ, დე-

დოფალმან ქართველს მეფეს მიშველება სთხოვა, რომე თუ მომეშველებიო, ჩემს ძმის წულს შენს შვილს მივსტემო, და იმერეთში გავაბატონებო, და ამათაც მეთოფე მიაშველეს, და ბატრიარქი ციხეში შეგზავნეს, იქით დადიანმა დედოფალის ქმარი გახტანგ გაიტუეა, თვალები დასწვა, გარედამენ მეფე და დადიანი ასრე შერიგდნენ, არგვეთს აქეთ ერთი წუალ ჩადაბური ჰქვიან, იმ წუალს აქეთ მეფეს და წუალს (წუალს) იქით დადიანს და მას უკანით დადიანმან თავისი ქალი არჩილს მისცეს, და იმერეთში გააბატონეს, ბატონი თეიმურაზ სკანდის ციხეში იყო, მოახსენეს: ვინც შენი ემანი უანის კარს მივლენო, მეფობას იშოვნიანო, შენ მაინც თქვენს ქალს არ მიეშველებითო, უანთან წაბძანდითო, ითარი სახლს უხუცეს შაჭნავას ხანთან გამოგზანაო, უანთან მინდა წავიდეო, და ამათაც დიდათ იამა და ამიდახორი გივი გაუგზავნეს, დიდის ბატივით კარდმოიუვანეს, ბატონი თეიმურაზ დიდის ბატივით უანთან გაგზავნეს, კარგის ბატივით ჩავიდა უანთან, უანმა კაი ბატივი მიაბურო (მიაბურა?) და უბძანა შენი შვილის შვილი ერეკლე მომგვარეო, და კახეთს მიეცემო, და გიორგი ჩერქეზი და ბებურისშვილი აბას უულ ბეგ თუშეთს გაგზავნეს, ბატონის შვილს ერეკლეს მოსაუვანათ, და არ წამოსულა, შაჭაბაზ უანმა იწუინა და აშრახეს მიმავალმა ბატონი თეიმურაზ ასტრაბათს გაგზავნა.

ქ~სა. ტ~ნა. მეფე შაჭნავაზ იმერეთს ჩავიდა, და შვილი მის არჩილ მეფეთ დასვა, და აკურთხებინა, ოდიშს წავიდა, ზუდიდს რომ მიავიდა დადიანი გამიე და ერთი შვილი სვანები შეუუენეს, და მოაკლეგინეს ელენე დედოფალი, ერთი ქალი და ვაჟი შაჭნავას მეფესთან მოიუვანეს, დარეჯან დედოფალი ქაქვიჯის ციხიდამ წამოიუვანეს, ქუთაის მოიუვანეს, ელენე დედოფალი გამიე დადიანის ცოლი მისი ქალ ვაჟი ტუეთ ქართლით წამოიუვანა, შამანდავლე დადიანათ დასვა, გამიე დადიანის საქონელი გელათიდამ სამშუვალი წიგნი და ხატი და ჯვარი და საქონელი თვალმარგალიტი, ოქრო და ვერცხლი და ტუე მრავალი იშოვა, მეფემან და ქართველთაც ამთონი იშოვეს, უველანი დამდიდრდენ, და უსუმთაგანაც ჩაფარი მოვიდა, ქართველს ბატონსა ოდიში და იმერეთი დაურბევია, და მემეგრელ ბატონები გაუურიაო, ოდიშს შიგ ცოლს ძმა გაუბატონებიაო, და იმერეთში

შვილი, ეს გვინდა შევიტყოთო, თქვენის ბძანებით უქნია, თუ არაო? აქედამე უპასუხეს: დაუშვებიაო, ჩვენ გარდავხდევინებთო. ამაზე ქვ-სა. ტ-ნა. თვესა იანვარსა, ბატონი თეიმურაზ ასტრახანს მიიცვალა.

ამაზე ქვ-სა. ამირ ჭამზა ხან თალიში უკანს გამოეგზავნა შაჰნავაზ მეფესთან, იმერეთი ნუ გინდა, დაგხსენო, შენი შვილი არჩილ კამობიგზავნე, კახეთს მიგსტემო, იმერეთიდამ არჩილ მოიყვანეს და მაზანდარანს უკანთან გაგზავნეს, და გიგი ამილახვართან გაატანეს, უკანი კარგა დახვდა ამასაც და გიგს ამილახვარსაცა, და კახეთის ბატონობა მისცეს და შაჰნავაზთან დაარჭვეს და გამოისტუმრეს და ქართლს მოვიდა, კახი ბატონი არჩილ და შაჰნავაზ მეფე ურუთს მიეგება, იქიდგან ქალაქს შემოვიდნენ, და ქალაქიდგან კახეთს წავიდა კახი ბატონი. ტოტა ხანს უკან ბატონ თეიმურაზ მკვდარი მოიტანეს, ქალაქ ბირს კრწანისს მოსვენეს, უკანს გამოეგზავნა, და კახნი ვინც ხლებოდენ ბატონს თეიმურაზს უკანმა სჯარადებში გაბარა, რა ბატონის თეიმურაზის სიკვდილი გაიგონა, ბატონის შვილმან ერეკლემ კახეთში მოთშს მეფეს შაჰნავაზს და მის შვილს არჩილს თუშის დაშქრით დამით თავს დაესხა, და ბევრი კაცი მოუკლეს, და ბევრი ნავნები ქნეს, გიგი ამილახვარი და სხვა უფროსი ერთი გაიქცენ, მეფე თავისს ადგილთ ვერ დასძრეს, აწუეურს იოო, გათენდა, ქანარა დაადახეს, დათვანტული ჯარი მოგრიდა, უკან მოწიენეს და მრავალი თუში დახოცეს და შაჰნავაზ მეფეს გაემარჯვა, და შვილიანათ ქალაქში შემოვიდნენ.

ქ-ნა. ტ-. (sic) მეორეს გაზაფხულზედ კიდევ კახეთში ჩამოუხდა და ზოგი ძალით და ზოგი ნებით დაშქარი შეიყარა, და შეუერიდი მარტოთვამდისი მოვიდა, ქართველმან ბატონმან დაშქარი შეიქარა, და უკარმის ბოლოს შეიქნა ომი და კინკლაობა, და ქართლის დაშქარი დაბალზედ იდგნენ, და იმათ მაღლა მთები გაიარეს, და გარდავიდენ და მეფეც კახეთში გარდვიდა, თათრის დაშქარიც მოეშველა, ბატონის შვილი ერეკლე თუშეთ წავიდა, და დედა მისმან თათრის ციხე გაამაგრა, და ზოგნი კახნი ტოტაშვილით მასთან იყვნენ, და შვიდს (შვიდს) თვეს მეფე და ქართველნი და თათარნი დაშქრით იმ ციხეზედ იდგნენ, და ვერ აიღეს, და შიგ მდგომიც შეწუხდა,

და გარ მდგომიცა. ერთს დამეს ბატონის შვილს ერეკლეს დაესიზმრა კახური კაცის ჩოხა, ხანჯალი ჩაიცო, და ქუდი დაიხურა, და ხანკალი ხელთ-რაშვილი, ბაცასშვილი, მელანაშვილი მარტოოდენი ესენი იახლენ, არჩიეს და ბაცაშვილს ეთქვა: მე ჩავალო, სანამ უარაული წევსო, აქა იქა ფეხს დავცემო, ჯარი აიშლება, მე გამომიძგებაო, თქვენ არეულ ჯარში გამოდითო, თუშეთს წადითო. ბაცაშვილი ჩავიდა და ფეხი დასცა, აქა იქა ჯარი ასრია, იმას გამოეკიდნენ და იმათ თავიანთ გზას მიმართეს, და თუშეთს ქვეითათ წავიდა, ვინც შემოეყრებოდა ანბავს ჰკითხულდათ, ციხიდამ ერთი კაცი გაბარულაო, და იმაზედ ირეგვიანო, მე ჩემს სადგომს მივალო, ამ ხერხით ჯარი გაიარეს და წავიდა, ბატაშვილი დაიწირეს, შანავ (შაჰნავაზ) მეფეს მიგვარეს, და მეფემ ჰკითხა: დედოფალი რა იქნაო? იმან მოახსენა: სამი დღე არის წავიდაო, ჯაფა უყვეს და ათქმევინეს, წუხელს წავიდაო ქაიხოსრობა ციციშვილი. თათარიც ბევრი გაატანეს, და ქართველიც ბატაშვილიც თან გაატანეს მხარშეკრული. სხვას გზაზედ წაუძღვა ბაცაშვილი, ერთს უბრალოს კედის თავს მივიდნენ და დასხდენ, ბაცაშვილი შეეხვეწა, საბელმა ძალი მიუო, ტოტა მოამიშვითო, მოუშვეს, ხერის ჯამა დაუწყეს და იმასაც აჭამეს, მოკეცა საბელი, ერთი აქათ რომ კაცი უჯდა იმას თვალებში უკუჰკრა ერთი მეორესა, ეს კაცები გულდმა დაეცნენ, თვითან იმ კედელში ჩავარდა და წავიდა. ესენი ველარ ჩავიდნენ, დაბრუნდნენ და ჯარის კაცი ბაცაშვილი იმავ დღეს დედოფალს შეეყარა, დაიწყეს სიარული, იმ დღეს ხანკისის თავს დადგა. ხელთრაშვილი ჩამოვიდა, თავის სახლში ხერი და ღვინო სასმელ-საჭმელი წაიღო, იმავ დამესვე, მივიდა მეორეს დღეს თუშეთს, თავის შვილს ერეკლე ბატონის შვილთან მივიდა, მეორეს დღეს ციხით სათვალიერო სთხოვეს უფხებობისა, რომ ციხეს მოგეცემთო, სათვალიერო წაიღეს, ციხეში მეორენი რომ ჩამოდიოდენ. მეფემ დედოფალსა ჰკითხა რად არისო? მოახსენეს: სამი დღე არის წასულაო. ტყვეები ეგონა. აქეთ იქით კაცები დაათრინეს, ეგების დაიჭირონ, თუშეთი კახი კაცი ჩამოვიდა, ბატონის შვილის დედაო, გუშინ თუშეთს მივიდაო, ქართველნი დაბრუნდეს, ქალაქში ჩამოვიდენ და კახთაგან გაახეიბრეს. ბატონის შვილი ერეკლე იმ ზამთარს თუშეთს დაჭყაო, და რა გზა გაიხსნა, დე-

დიანათ იქიგ რუსეთს მივიდა და რა შაჭნაზარხან იმერეთით გარდმო-
უვანათ, ისრეგ ბრმა ბაგრატ გაებატონებინათ, და მუხრანის ბატონის
შვილს ხატარას ქალს დაჭირებოდენ, რომ შერთონ. ამისობაში და-
დიანი და მეფე შეიბენენ, და დადიანის იმერელთ დაირჩინეს, იმასაც
მუხრანის ბატონის კონსტანტიდეს ქალი ედგა, ეს წაართვეს, ბაგრატ
მეფის და გოშთმის ნატოლარი თინათინ დადიანს შერთეს, დაუთიტეს,
ის დადიანათ გაგზავნეს და ბაგრატ მეფედ იყო, და დარეჯან დედო-
ფალი ახალციხეს იყო და მისი ძმის წული ქეთევან გვერდსა ჭუვანდა,
და იქით დადიანი სთხოვა და აქეთ არჩილხან კახი ბატონი, და და-
რეჯან დედოფალს იმერეთში ბევრი ერთგული თავისი გაზდილი თა-
ვადის შვილნი ჭყვანდენ, და თვითანაც მრავალი თავდმრგალიტი
ჭქონდა, ფაშა მოიმადრიალა, ხანთქრის კარზე კარგი ფეშქაში გაგ-
ზავნა, იმერეთი ბაგრატს წაართვეს, და ამას მისცეს ურუმის დაშქა-
რი გამოატანეს და უომრად ქუთათის გაებატონეს, და ბაგრატ დეხ-
უმს გარდახვეწეს, და ანბავი მოსდიოდა ბაგრატს ხელშეკრულს მო-
გვრითო, თავის კერძს სპბატიოს (სპა...?) კაცის შვილებს დასტუ-
რი მისცა, უგელანი თავისას წაღითო, რომ რომ გიხმო, მაშინ მო-
დითო, სეხნია ჩხეიძემ და დედოფალმან ქუთათის ციხე ხანთქარს
მისცეს, და იენგიჩრები დაუყენეს, ეს უფრო იწუინეს იმერელთა.
ამაზე იმერელთა თქვეს: ჩვენ ჯუჯუნაშვილის უმობას და დედოფლის
უმობას რა გვრჯისო, მემკვიდრე ბატონიშვილი გვყოო, და სეხნია
ჩხეიძე და ახვლედიანმა ხოსიამ ბირობა შეკრეს, ეს დედოფალმან შე-
იტყო და მოიხმო და ესენიც ჯარით მივიდნეს, ხოსია ახვლედიანმა
ჯერ ძუძუზე დაადგა დედოფალსა და მერმე ერთი წიგნი დასწერა, და
მაჯაში ჩაიდგა, რომ არც ვიყო შენი ერთგული, და კიდეც რაც ხე-
დიდამ გამამივიდეს ისე გიმტერო, დედოფალმა რომ თქვა მოუდგა
ახვლედიანმა მოახსენა: რომ ორი შეგჯერდებოდეო ისე წიგნი დაწერეო
და ისრე შემოგფიცაო. დედოფალმა წიგნი დასწერა, მისცა, აღგა და
ხატი რომ ხელში ჩაუსვენეს, დედოფლის წიგნი ახვლედიანმა მუხლს
ქვეშ ამოიდვა, თვითან რომ წიგნი დაეწერა, ის ამოიდო დახელთ და-
იწერა. და შეჰფიცა: რაგვარაც ამ წიგნში ეწეროსო, ისეც ერთგულ
ვიყო, და კიდეც ისე გავათვო, ამ ფიცის გერ მიხვდენ, დედოფალი

ქუთათის გარ იდგა, მეორეს დღეს ხორა (ხოსია?) ახვლედიანმა, ბე-
ხნია ჩხეიძე შუა დღეს უკან შევიდნენ სოფორან გენათელი და დედო-
ფალი იმათი მიმდევი ვეზირობდენ, შეუხდენ, ჯერ სოფორან გენათე-
ლსა ჭკრეს შუბი და გაიეგანეს და დასჭრეს ლეკურითა, დედოფალს
გულს თოფი ჭკრეს და ორმა იმისმა მხლებელთ მოიტაცეს, ციხისაკენ
წაიეგანეს, კინკილთ მაჭამდი ფაშა და ციხის თათრები მოდგომილი
ჭეგანდათ, ახვლედიანს და სეხნია ჩხეიძეს მხლებელი და საქონელი
ციხეში იყო, დედოფლისა ციხის კართან რომ მივიდა იმ დროს შუბი
მისცეს და მოკლეს დედოფალი, ჭუჭუნაშვილს ვახტანგს თავი გაკვეთ-
ბინეს, საქონელი და მხლებელი აიოხრაქეს, რომელი თგითან დაიჭი-
რეს, რომელი ფაშას მისცეს, დედოფალი ქუთათის უოველად წმინდის
დეკანოზმა წმინდის კარის ბჭეში დამარხა, და ჭუჭუნაშვილი მერმე
დედოფალი წელიწადზედ ამოიღეს, გელათს დამარხეს, ბაგრატ თა-
ვიანთის მემკვიდრე ბატონისშვილი გაიბატონეს ტოტას ხანს უკან.

კ'ისა: ტუ'ზ (ა): შეიტუა შოშიტა რაჭის ერისთავმან სათიცა-
რი, სათიცარით სეხნია ჩხეიძე და დალატით მოკლა. მოკლა რა და-
რეჯან დედოფალს იმერ (ა...) მისცეს, თავისი ძმის წული ბატონ
თეიმურაზის შვილის შვილი ფაშას მზეგდად ახალციხეს მისცეს. იქ
დარჩა.

ქე'ისა ტ'ნე: შაჰაბაზ უანი მოკვდა და მისი შვილი შაჰსულეი-
მან დაჯდა, ახალი ხელმწიფობა იყო და ადრიგინ რას იკითხევდა, კა-
ხს ბატონს მეფეს არჩილს კახნი და ადაგერდელი გრიგოლ შეადგა
და ბატონის თეიმურაზის შვილის შვილი ქეთევან შეერთო, დაჯე-
რეს არჩილ მამას მეფე შაჰნავაზს დაუფინა: სხვა ცოლი არ მინდა, მის
მეტიო. შაჰნავაზ მეფემ ფაშას თექვსმეტი ქესა გაუგზავნა.

ქე'ისა: ტ'ნე: ადგომა მარტსა. კბ. ახალციხიდამ მოიეგანა და
შეირთო და ქორწილი ქნა, კახმა ბატონმა არჩილ ბატონის თეი-
მურაზის შვილის შვილს ქეთევანზე ტფებილსა ქალაქს. კახთ შეექნა
დიდი გახარება და სცა კახნი ტუეთ იეგნენ, და ან დაფანტულნი,
სრულ მოასხმეეინეს და თავიანთ მამული მისცეს, იეგნენ ლხინსა და
ნადიობასა, მოსეენებამ შეაზარა და ისრეგ აშლა მოინდომეს, ასრე
მოახსენეს: კახეთის ბატონს გეძახიანო, და სრულ ერისთავს უწერა-

ვსო, შენ რისაღა ბატონი ხარო, ესები შაჰნაზარ ხან მამას მოახსენა და მამამ ასრე უპასუხა: ჩვენგან არა აქვს მიტევმულიო, და არც წასა-რთმევენო, იმან მოახსენა: უაენს კახეთი ჩემთვის მოუტიაო, მე ჩე-მსას არას დავნებებიო, ერისთავი თქვენი უმა არისო, თქვენ უბოძეთო და ამაზედ მამაშვილი კიდეც მოგვდითო. მოსვლა ბატონის ერეკლესი კახეთში რომ უაენთან წამოვიდა.

ქკ-სა. ტ-ნთ. ამბავი მისის მოსვლისა რუსეთით უაენთან წი-გნი მოწერა თქვენ კარზე მოსვლა მინდაო, და ერთი უფნებლობის რაუამი გვიბოძეთო, თვიტხაც მოსანდო რაუამი მისწერეს, და ჯულ-ფელს ხოჯა გრიქორას ხელით გაუგზავნეს, რა რაუამი მოუვიდა, რუ-სეთით წამოვიდა და თუშეთის გზით კახეთში გარდმოვიდა, შაჰნა-ზარ ხან კახეთში ბატონობდა, და ბატონის შვილის ერეკლეს და ქე-თევან დედოფალი თან ჰყვანდა, და ოცი წელიწადი იყო, ძმათ ერთ-მანერთი არ ენახათ, რა ნახეს, დიდი სიხარული შეექნათ მათ და მათს ქვეყანას მრავალი სახუქარი მიართვეს, სიძემ ცალკე და დამ ცალკე და უაენისაგან ხმალი და ხალათი მოუვიდა. კახეთით სიძე და ძმანი დიდის ტირიფით გაიყარნენ და ვითაც მემკვიდრის ბატონის შვილი იყო, კახთ და თავადნი და აზნაურნი თან გაჰყვნენ, რა შირვანს მო-ვიდა, შირვანის ხანზედა ათასი თუმანი მიართვით ბატონის შვილსო, თუ საკლისი საქმე ჰქონდესო, გაირიგოსო და წამობძანდესო, ხალავ სულთან ნაზირის ძმის წული მეჰმანდრათ მიაგებეს, და დიდის პატი-ვით უაზმინს მოვიდა, უაენმა ბძანება ქნა, ბოქაულთ უხუცესი გაგე-ბეს, და ვინცავინ ბედნიერს უაენს ერანისაბატონის შვილები ახლდენ უაზმინს ჯარით მიეგებონ, და ქალაქში შემოიეუანონ, რა მობძანდა მეხუთეს დღეს კიდევ ათასის თუმანის გაუგ-ზავნა, და მეშვიდეს დღესა უაზმინის ჩდ. რუთუნში მეჯლისი იქნა, ბატონის შვილი ერეკლე კარგათ მორთული თვითან და ჯარ მოკა-ზმული მობრძანდა: კარამდინ ზეანად ხან ბოქული უხუცესი მიაგე-ბეს. და მეჯლისში რომ შემოვიდა იმის ტანად სრულობას და სახით სიტურფეს გაჰკვირდნენ, და წაუენეს, ხელმწიფის ფეხს აკოცნინეს, და ხემწიფეს მარჯვენას მხარეს უგელას ზეით დასვეს, და ხელმწი-ფემ სამჯერ ანბავი ჰკითხა: უწინ რუსეთის ხემწიფისა და მერმე

თავისი, თუ რუსეთს რაგან შექცეოდეო? მერმე გზასაზედ გაირჯებოდეო, უნინვე ნახვაზედ ხემწიფემ შეიუვარა, თავად დიდგვარშვილობისათვის და მერმე ნამეტნავად კარგ ტანადობისა, სახე შეუნიერობისათვის წელიწადში ორი ათას ხუთასი თუმანი თეთრი, და დღეში თორმეტი ჭიქა შირაზის ღვინო ულუფათ გაუჩინა, სხვას ბატიებსა და მირთმევას კარდა ისათ უანი უაზმინით მაზანდარანს წაბრძანდა, თეჭრანის გზით ვითაც ჯალაბობით მიეგებოდა, ბატონის შვილს უდუბეგ თალიშის ბატონის შვილი მეჭმანდრათ უჩინეს, და გილანის გზით დიდის ბატივცემით მაზანდარას მიიყვანეს, და ნადირობითა და ლხინით და ღვინის სმით და დიდის ბატივცემით შეაქციეს და იმით ისპასჭანს მობძანდეს, კახელს (კახეთის) ჯანიშინობა კახაბერს გორჯასპის უბოძეს, და რუსეთის ხელმწიფის ელჩი რომ ბატონის შვილის დედას თან მოჰყოლოდენ, კახეთის მიცემის შუმავლობისთვის ისინი გაისტუმრეს, და რუსეთს ხემწიფეს მისწერეს ამხელას კახეთის ჯანიშინობა ბატონის შვილს ერეკლეს უმასა, და ნათესავობით ბაგრატოვანს კახაბერს გორჯასპის მიეცითო, და ბატონის შვილი ერეკლე დიდის ბატივით კარზედ შეგვინახეთო, რომ ჩვენი ზნე და სჩქეელი ისწავლოსო, და მას უკან კახეთის ბატონობას უბოძებთო, გორჯასპი რა კახეთს მივიდა, კახთ თავიანთ დაუდერგობა არ დაიშალეს, ზოგნი მიუდგნენ, და ზოგთ ურჩობა დაუწყოთ, აგათოს შვილის ხელთ ხუთასი თუმანი თეთრი და ოცი ტყვე უანისათვის გამოეგზავნა, და კარის კაცნიც ტყვით მოეკითხა, და ავხაზ გიორგის ხელთ სამოცი ქეის თავი და თორმეტი შავარდენი უანისათვის გამოეგზავნა, ასე ადვილათ გორჯასპისაგან კახეთის დაჭირვა და ზავთის ქნა სარდარსა და განჯის ხანსა და ნაბირის ბატონებს ეჯავრა, და ასე თქვეს: ჩვენ რადა ბატივი დაგვედებისო, და შეიყარნეს ჩერქეზიშვილ მამუკა და გორჯასპის თოფი ჰკრეს და არ მოკვდა, ზოგზოგმა კახმა საბატიოს კაცის შვილებმან რომ გორჯასპის დალატშივ ერიენენ და უწინაც განჯის ხანისთვის ბირობა მიეცათ შენ ბატონათ გითხოვთო, სარდართან არზა მოსწერეს, და ჯანდიერის შვილი ოხია ყორჩის ხელთ გაუგზავნეს, და აბაზეულო ხან განჯის ხანი კახეთის ბატონათ ითხოვეს, და სარდარმან კახთ მოანაწერი წიგნი ბედნიერს უანს გაუგზავნა, და კახეთი აბა-

ბაზე უფლი ხანს მისცეს და გორჯასპის სალათი და ქისაიეის მოურიგა უბოძეს, მაგრა განჯის ხანმან არ მისცა და სხვა რიგათ გასინჯვინა და შვიდს წელიწადს სარდარი უარბაღში დადგა და ვერავინ რა გაიგო, თუ რისთვის დგას, ამასობაში იმერეთის მეფის ბაგრატის შვილს უფროსი ერთი თავადი რაჭის ერისთავი მისის მოუვასითა და დოთქოფხიძე თავის მოუვარითა და ჯიჯავაძე თავისის მოუვრითა, და უფროსი ერთი ოდიშარნი გურიელს შეეუარნეს, და მეფის მოკვლა და გურიელის გამეფება მოინდომეს, ბაშიძენი და წერეთელნი და ჩხეიძენი და არაგვეთის საბატიოს კაცის შვილნი ერთგულათ მეფეს მოუდგნენ, მაგრა ესენი ცოტანი და გურიელს ჯარი მრავალი შეუბოგრად ახდა, მეფეს მოუხდა, ესენიც თავ დაუზოგავათ დახვდენ, ვითაც გურიელ მტეუანი და ფიცის გამტეხი იყო, და არას საქმით კაცს არ დაინდობდა, და დ~თი არა სწამდა, სიდედრი ცოდად შეირთო, და საქორწილევი უმაწვილი თავისი უგხური და დაუნშებელი სიძე მოკლა, იესეს ნაბძანები აქ მიეცა და მეფემ გურიელ და რაჭის ერისთავი და მათნი კერძნი თავადნი და აზნაურნი შეაბერეს, და ციხებში ტუსეთ გაგზავნეს და რაც სხვათათვის ექნა დ~მან მათაც გარდახდევინა, ხიდი არის გადებული ზღვათშიგა რომ სამადლოთ საკმელი ჩაჭვარდ~თი ერისთვის ათას ზომას ხმელზედ მოგტემს, უოვლი ხელოსანი თავის ხელს მიზდს დირსა.

კ~სა. ტ~ჲგ, მოსულა რუსეთით ელჩნე დედოფლისა, ზღვით შირვანს გამოსულა ანბავი მათის მოსულისა, შირვანის ბატონს სულეიმან უანისათვის მოუწერა, ბძანება იქნა, ხემწიფისა უსუფებეგ მეჭმადარ ბაში ჩაფრათ გაგზავნეს და ბატონი დედოფალი დიდის პატივითა ისპაჰანს მოაბძანეს , და დღეში ას მარჩიელი ულუფა გაუჩინეს და თავის შვილს ერეკლესთან დაუენეს, და დიდი პატივი მიაბურეს, და უოვლს კარგს დღეში შეგნით დაჰპატიუებდენ, დიდს პატივსა სცემდენ, და მრავალს მოართმევდენ და თათრობას შეეპატიუებოდენ. და დედოფალი უარს იტუოდა, არ იქნებოდა, ადარ გათთრეს და ქართლში გიორგი მეფობდა და კახეთში განჯის ხანი ბაბაზეულა ხან ბატონობდა, ერეკლე და დედა მათი უანის კარზედ იეუნენ, და მ~თის შეტი მშვენიერი (მშვენიერი) არსაით გაჩნდა, მაგრა უანი გურგი ხანს

უწურებოდა: ქართლის თავადები თავს არ უნდებდენ და ურჩობდენ არაგვის ერისთავი—თქვეს წამლით მოაკვდინესო. და ამაც სწადდაგის შიშით აისხნ ძმა მისი უკუ უდგა, საერისთო უკუ იპყრა და ქვეშ ქვეშ განჯის ხანის საქმით უენს ბიერება და დაბარაკი დაუწყო, და სომხითის მელიქი უენთან კარზედ ითხოვა, ეს ანბავი დუარსაბ თავის ძმას გიორგი მეფეს მისწერა, და გაუკითხვათ კარაგში მჯდომს თოფი აკვრევინეს, და ქამარბეგ მელიქი მოაკვდინეს, ეს ანბავი უენს დიად ეწუინა, და იმერეთის მეფეს ალექსანდრეს ბუდუზაშვილს ხელთ უენთან არზა მოწერა, მაშა ბაბა ჩვენი ხემწიფის მოსამხასურენი უოფილანო, ერთი რაუამი გვიბოძებსო, ჩვენი ფეშქაში უენის კარზე მოუშანო, ერთი რაუამი ქართლის მეფისა და ერდი ერევნის ხანს მისწერეს, რასაც იმერელ მეფის ფეშქაში წამოვიდესო, მეჭმანდართ გამოატანთ, კარზედ მოიუვანონ, იმერელ მეფის კაცი ახალციხის ფაშამ მოაკვდინა, ესეც გურგინ ხანს დაჰბრალდა, კაცნი და წიგნნი გურგი ხანს რუსეთს თავის ძმასთან არჩილ ხანთან გაგზავნა, ისიები შამხალს დაეჭირა და უენისთვის მოეწერა, ესეც იწუინა და გურგინ ხან თავის შვილს ბაგრატს ჩერქეზის ქალი შერთო, და თვითან მიქელაძის ქალი შეირთო, ესეც უენმან უწუინა, და ძმა და შვილი სთხოვა, და უთულხანის შვილი გურგინ ხანის ბიძა ბარათიანთ სარდარი თამაზბეგ რომ გიორგი მეფისაგან მრავალი სიკეთე და სიმდიდრე სჭირდა დის წულს წამოუვიდა, თავრიზს სარდართან მოვიდა, და უენს არზა მოსწერა, განჯის ხანის თავს დასხმა და ნახჭირის ხანების ამოწუეტა, და უარაბადის დარბევა მოინდომაო, და ჩვენ ამისთვი წამოუვედით, და ხემწიფის ორგულობაში არ გვეერიენითო, და დონე გაუწუდაო და ძმა და შვილი გამოგზავნაო, ამ ამბავზედ ლეკანს და ბაგრატს არც არა ეტიგი დასდვეს, და არც ინახეინეს, ამაზედ ეს ანბავი მოვიდა, იასხნ ერისთავი თავის სახლის კაცს მოაკვლევინეს, და გიორგი მეფე საერისთოში შეუხდაო, და გამოაქციესო. ეს კიდევ უთრო უწუინეს და ბატონის შვილს ერეკლეს ქართლის მეფობა მისცეს, და ნაზარალიხან დაჰბრქვეს და მისივე მოხმარებით არაგვის ერისთვობა გიორგის ოთარის შვილს მისცეს, და ჰმად ბეგ მირაზ უზბაშის ხელთ გურგი ხანს მისწერეს, ქართლის მეფობა თეიმურაზ

თემს (მეფის) შვილს დავითის შვილს ერეკლესთვის მიგვიცია და შენ კარზედ წამოდიო, და კოკორზედ ეს ამ რიგა რაყამი მიუვიდა, წაუკითხეს და უანს არზა მისწერეს, ბძანება ხემწიფისა გათავდესო, მექმანდარი სთხოვეს და თვითან ჯალაბობრივ მანგლის მივიდნენ, და უანისაგან მექმანდარი გამოუგზავნეს, მექმანდრის მოსვლამდისინ გურგი ხან აიყარა და ახაბოთის ხევში მივიდა, ამასობაში ნაზარალი ხან თბილს ქალაქში მოვიდა, და გიორგი მეფე ჯალაბობრივ რაჭის ერისთავს შეეხიზნა, ქართველნი სრულ მოუვიდნენ, პატრიარქის მეტი. და ეს ანბავი უანს მოუვიდა, და ზოგი რამე იარადი მურასა გიორგი მეფისაგან დანარჩომი ხემწიფისათვის გამოეგზავნა და ხემწიფეს გიორგი მეფის რაჭას გარდასვლა და პატრიარქის არ მოსვლა დიდ ეწყინა და ძმები და შვილი დაუწყრინა. დევან და ბაგრატ ჭერათს გაზავნეს, დუარსაბ ქირმანს გაგზავნეს, კათალიკოზობა დაისამიძეს რუსთველს იოვანეს უბოძეს, და რაც გიორგი მეფისაგან დანარჩომი ან კარზედ გამოეგზავნა და ან ქართლში დარჩომოდა საძრავი და უძრავი და ჯოგი და ცხვარი და ძროხა და სხვა მორთულობა ხელმწიფემ სრულ ნაზარალი ხანს უბოძა, და ამ წყალობის რაყმები მეფის ერეკლესთვინ ებოძებინათ, და მეფის დედა ელენე დედოფალი და მეფის სახლი და ბატონი შვილები უანს ებძანებინა დიდის პატივით ქართლს წავიდნენო, გასტუმრებაში ანბავი მოვიდა, არჩილ მეფე რუსეთით დავალეთს მოვიდაო, ამ ამბავზე ვითაც არჩილ დედოფლის სიძე იყო, ამათი გაშვება მოიშალა, კიდევ სხვა ანბავი მოვიდა, რომ არჩილი და გიორგი რაჭას შეიყარნენო, და იმერეთს ეწყინებინო, უანის ბძანება იქნა, რომ ქართლსა და კახეთის დაშქარი იმერეთს მეფეს მიაშვებოო, და თუ გაწყრების ჭალრიბეყანის დაშქარი მიეშვებოსო.

ქგსა. ტად. მეფე შაჭნავაზ ისპაჭანს წაბძანდა თიბათვეს კე. ამავე ქგსა. თვეს ენკენის თვესა მეფე შაჭნავაზ მიიცვალა ხოშკარის.

ამაგე ქგ̄სა ამაგე თვესა ენკენის თვესა. კ̄ბ. მიიცვალა მუხრანს ბატონი შვილი ბატრიარქი დომენტი.

ქგ̄სა. ტ̄ჲგ. მეფე შაჰნავაზის ძის დავითის მეუღლე გურიელის ქაიხოსროს ასული თუთა მიიცვალა. თ̄. ოკტომბერსა. ი̄ა. ტფილის.

ამაგე ქგ̄სა მიიცვალა ასული უამუკან ბარათაშვილისა მეფის არჩილისა დაჲ ქალაქს, და მეფის გიორგისა დაჲ დავითის დედა, მეუღლე მეფის შაჰნავაზისა რომამ, თვესა თიბათვესა, ი̄ზ. ტფილის ქალაქს.

ქგ̄სა. ტ̄უ, (ტ̄ჳ?) მიიცვალა დედოფალი მარიამ. ტფილის ქალაქს.

ქგ̄სა. ტ̄უა. (ტ̄ჳა?) დედოფალი თამარ მეუღლე გიორგის მეფისა წითელით ავათ გახდა, მიიცვალა ქრისტეშობის თვეს, დ̄. ტფილის ქალაქს. გიორგი მეფე ერწოს ნადოფრასა და ჩეკურში დადგა ქართლის დაშქრით, ერეკლე მეფემ შეიტყო, დაიწყო სიარული, მარტოფოს მივიდა, ხატი მდთეებას რაც შერჩომოდა კახნი ან ქართველნი იმითი კაცი გაგზავნა, კახნი დაიბარა, იქიდამ აიყარა და ვაგრანეთს იქით თიღთუბანს დადგა, მეორეს დღეს კახნი შემოეყარნენ, ერთი კვირა დადგნენ, მოციქული გიორგი მეფემ გაუგზავნა, შენ შენს ადგილს დასჯერდიო, მე ჩემი დამანებე, შევრიგდეთო, ერეკლე მეფემ არა ქნა, მოციქული გაჰხა, თავს დასხმა მოინდომა ერეკლე მეფემ, ავი გზა იყო და ვედარ მივიდა, აიყარა ერეკლე მეფე, იორის პირი აიარა, უალეთს (თიისუალეთს) დადგა, იქიდამ უნდოდა გორანაზე გარდასულიყო, თავს დასხმოდა, კაცი მოუვიდა, გიორგი მეფე აიყარა, იქიდამ ძალნაკორას ჩაიარეს, რასაც მოხვდენ დარბიევეს, არაგვს გავიდნენ, არაგვის პირს დადგნენ. იმავ დამეს ერეკლე მეფეს კაცი მოუვიდა (მიუ...) გიორგი მეფე წავიდაო, შავდამის დროს ერეკლე მეფეც გამომოუდგა, ერწო გარდაიარა, ძალნაკორას მივიდა, და იქ დადგა, ნადრები დაუვირეს, ერეკლე მეფე გადმა იდგა, გიორგი მეფე გამოდმა, ჟინვანს მივიდნენ, არაგვს გადმართი და ჟინვანი ერეკლე მეფემ და-

იწერა, მერმე გიორგი მეფემ კანცები შეაბარა, ყინწვანიც აიღეს კანცებიც დახოცეს, აიყარა ერეკლე მეფე.

დიდება დ~ე ქ~თა მას რ~დსა
სრულ იქმნა
ხელითა ბრ~ძ~სტ~ისათა
თიბათვეს 23 წელსა 1829 ქ~ს~ა
ფიზ.

ქ. ბარიყი.

ეს „საქართველოს ცხოვრება“ გადმოწერე ნამდვილად თბილისის საზოგადოების ბიბლიოტეკიდამ გიორგი არეშიძემ, 1893 წელსა *).

*) დედანზედ ისეა დაბეჭდილი, რომ არსად არაფერ აკლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა